პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ამიერკავკასიის რკინიგზელი

...ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, პოლიტგანყოფილების
...და პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ორგანო

...дорожник Закавказья» — орган управления, политотдела
...и дорпрофсожа Закавказской железной дороги.

შაბათი, 17 მარტი, 1956 წ. | ფასი 15 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება

...ავკავშირის კომუნისტუ-
...XX ყრილობის ის-
...გადაწყვეტილებებმა
...პოლიტიკური აღმავ-
...მოიწვიეს ამიერკავკასიის
...ებში. ყრილობის გა-
...ებებში დასახულია
...ული პროგრამა შემდ-
...ნისტური მშენებლო-
...ქვეყანაში. ეს გა-
...ებანი მიმართულია
...ტური მრეწველობის,
...ტისა და სოფლის მეუ-
...ული აღმავლობისაკენ,
...ალხის მატერიალური
...ობის განუხრელი გა-
...�s.

...ელები დიდი კმაყო-
...ინიშნავენ, რომ სკკპ
...ური კომიტეტის მიერ
...ენერალური ხაზის თან-
...ით გატარების შედე-
...ასნელ წლებში მიღწე-
...საზოგადოებრივი წარმოე-
...ა დარგის თვალსაჩინო
...ევ უფრო განმტკიცდა
...საზოგადოების მორა-
...ლიტიკური ერთიანობა,
...საბჭოთა სახელმწიფოს
...

...ალხი ახალ ხუთწლე-
...ადგიდა მონოლითური,
...ური კომუნისტური პარ-
...ერშემო მჭიდროდ დარაზ-
...ნებისა და მიზნის ურღვე-
...ანობით შედუღაბებული.
...ალებისადმი ურყევი
...ესავსენი იბრძვიან სა-
...ადიანები სკკპ XX ყრი-
...გადაწყვეტილებათა გან-
...ებისათვის.

...ამ მოუწოდა ყველა
...კომეურნეს, საბჭოთა
...ციას გაიჩაღონ საყო-
...სახალხო სოციალისტუ-
...ება მეექვსე ხუთწლიან-
...დავალებათა მთლიანად
...ებებით შესრულებისა-
...მოწოდებამ უაღრესად
...გამოხმაურება ჰპოვა
...მრავალმილიონიან
...ათ შორის ფოლადის
...თა მუშაკებში.

...კასიის მაგისტრალის
...წარმოში სულ უფრო და
...დება სოციალისტური
...მეექვსე ხუთწლედის
...გადაჭარბებით შეს-
...ვის. რკინიგზელები
...ენ ახალ სოციალის-
...ებულებებს, სახავენ
...ულებათა შესრულების
...ვადადებით იბრძვიან

...ადგა ელექტრომაგარეგლების შეკეთებათაშორისო გარბენა

...ადი. (საკდესი). ლენინ-
...ინეთის საელმავლო დე-
...ანქანეები ნ. შაროვი,
...ევი და ლ. ლეონიანენი
...ელექტივის დამსახურე-
...ტევისცემით სარგებლო-
...ამსეკციიან ელექტრო-
...ობათა შეკეთებათა-
...ბარბენის გადიდებისათ-
...ის წამომწყებნი არიან.

მოწინავე მემანქანეებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. შაროვის შემადგენლობა შეკეთებაზე დადგა 275 ათასი კილომეტრის გარბენის შემდეგ მაშინ, როცა აწევით შეკეთებათაშორისო გარბენის ნორმაა 180 ათასი კილომეტრი. 266 ათას კილომეტრზე მეტი გაიარა ამხ. საველიევის ელექტრომატარებელმა.

რკინიგზელები იბრძვიან სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის

★

ნახევარი თვის დავალება 7 დღეში შესრულდა

სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჭალადიდის სადგურის რკინიგზელები ენერგიულად იბრძვიან საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. მუშაობს რა ტვირთგამგზავნებთან და ტვირთმიმღებებთან მჭიდრო თანამეგობრობით, ჩვენმა კოლექტივმა კარგ შედეგებს მიაღწია. იანვარში ვაგონების მოცდენა შემცირდა 3,5 საათით, ხოლო თებერვალში — 3,8 საათით ნორმასთან შედარებით. მარტში დატვირთვის ნახევარი თვის დავალება 7 დღეში შევასრულეთ.

ამ წარმატებების მოპოვებას ხელი შეუწყო იმან, რომ კეთილსინდისიერად და ზუსტად მუშაობენ სადგურის მორიგეები პ. ბანცაძე და გ. კვირკველია, უფროსი მეისრეები ი. ბერაია, ნ. ჟორჟოლიანი, ა. შამათავა, პ. თირკია, საქონლის მოლარე მ. ვახანია და სხვა მოწინავე მუშაკები.

ჩვენ საქმიან დახმარებას გვიწევენ ფოთის უბანზე ამკრეფ მატარებელთა მომსახურე სალოკომოტივო და სამატარებლო ბრიგადების წევრები. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მემანქანეები დ. ცომაია, შ. შარიქაძე, მთავარი კონდუქტორები მ. შანიძე, მ. შმაკოვი, სამატარებლო საგაგონო ოსტატები ლ. კოხრეიძე და ვ. შანიძე.

ამკრეფ მატარებელთა მოძრაობას, მათ მუშაობას შუამდებარე სადგურებში კარგად ხელმძღვანელობენ დისპეტჩერები ა. დუნდუა, კ. სურმავა, ო. გვაზავა.

სხვადასხვა პროფესიის რკინიგზელთა თანამეგობრობა ხელს უწყობს ვაგონების ბრუნვის დაჩქარებას

ვ. დვალიშვილი
ჭალადიდის სადგურის უფროსი

—◡—

მოწინავე სადგურში

მუშაობა გააუმჯობესა თბილისის სატვირთო სადგურის (უფროსი ამხ. გზირიშვილი) კოლექტივმა. შემთხვევითი არ არის, რომ შეჯიბრების თებერვლის შედეგების მიხედვით სადგურს პირველი ადგილი მიეკუთვნა გზაზე.

აქ გადაჭარბებით შეასრულეს დატვირთვისა და გადმოტვირთვის გეგმები, შემცირებულია ვაგონების მოცდენა.

შემდგენლები ს. ჯანჯალაშვილი, ა. კაკაბაძე, ხ. მაზმიშვილი მატარებელთა შედგენასა და დაშლას ვადაზე 10 წუთით ადრე აწარმოებენ. მათ ამაში ეხმარებიან დისპეტჩერები გ. ცამბაია და ვ. ვერულავა.

კომპლექსურ ცვლებს უნარიანად ხელმძღვანელობენ სადგურის მორიგეები მ. ხაჩატურიანი და გ. სიხარულიძე.

გ. გვარამაძე

სოხუმის სალოკომოტივო დეპოს უფროსი მემანქანე ამხ. ქიქავა მოწინავე მეელმავლეა. იგი სისტემატურად ატარებს მძიმეწონიან მატარებლებს მაღალი სიჩქარით, სანიმუშო ტექნიკურ მდგომარეობაში ინახავს ლოკომოტივს.

სურათზე: ამხ. ქიქავა ელმავალზე.
ფოტო ა. შახბაზოვისა

ქარხნის კოლექტივის მილწევები

თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივი შრომითი მიღწევებით უპასუხებს სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ბოლო მოულეს რა ჩამორჩენას, ქარხნის მუშაკებმა თებერვალში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გაანაღდეს 164,5 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 150,6 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 21,8 პროცენტით ნორმასთან შედარებით. პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 12,5 პროცენტით.

1956 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ ელექტრომემონტაჟეები ბ. ლოხოვი, ო. ტოგონიძე, ა. ირემაშვილი და მრავალი სხვა, რომელნიც ყოველდღიურ ნორმებს 200-300 პროცენტით ასრულებენ.

ი. მჭედლიშვილი

—◡—

სანიმუშო საოსტატო

ქობულეთის საოსტატო ერთერთი მოწინავეა ბათუმის სალიანდაგო დისტანციაში. ლიანდაგის კარგი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ გზის ოსტატი დ. თაბაგარი განყოფილებებში ფართოდ ავრცელებს შრომის მოწინავე მეთოდებს.

ბრიგადირებმა ს. პასეჩნიკოვმა და ვ. გაგუამ სწორად მოაწყეს შრომა განყოფილებებში, განამტკიცეს დისციპლინა მელიანდაგეთა შორის და ლიანდაგი მოიყვანეს სანიმუშო მდგომარეობაში. ფხიზლად ეწევიან ვახტს ბ. მინაშვილი, ტ. შევარდნაძე და ლიანდაგის სხვა შემომვლელები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოძრაობის სრულ უშიშროებას.

გ. ქართველიშვილი

★

გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული

ქუთაისი-I სადგურის მოძრაობის მუშაკები წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. გასულ თვეს დატვირთვის გეგმა განაღდებულ იქნა 152 პროცენტით, გადმოტვირთვისა — 109 პროცენტით, ვაგონების მოცდენა შემცირებულია 8,8 პროცენტით ნორმასთან შედარებით. სადგურის მუშაკებმა თვის განმავლობაში შეადგინეს 28 მძიმეწონიანი მატარებელი.

სადგურის წარმატებითს მუშაობას უზრუნველყოფენ მოწინავეები — სადგურის მორიგე მ. ჭარხალაშვილი, შემდგენელი დ. ობოლაძე, მეისრე ვ. შარაშენიძე, ვაგზლის მორიგე ა. ზაიცევა და სხვები.

სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საპასუხოდ სადგურის კოლექტივმა ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

თ. ჯავახაძე
ქუთაისი-I სადგურის პარტბიუროს მდივანი

—◡—

ძვირფასი უპირატესობა

წინა შაბათი ჩვენს დეპოში შესანიშნავი დღე იყო. როცა ცნობა მოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესახებ, საამქროებსა და ბრიგადებში დაიწყო მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო შაბათს მუშაობა ისე, რომ ზიანი არ მიყენებოდა წარმოებას.

ლაბორატორიაში, სადაც მე ვმუშაობ, საქმე რამდენადმე ოთულია: აქ მუშაკთა მეტ წილს შეადგენენ ცვლაში მომუშავენი, საჭიროა მორიგეობის გრაფიკის გადასინჯვა.

— მე კი, როგორც შრომის დროითი ანაზღაურების მუშაკმა, უცბად ვიგრძენი შემცირებული სამუშაო დღის უპირატესობა. ჩვენ უკვე ყოველივე გამოვიანგარიშეთ. დასვენების წინა დღეს გვეყოფა დრო საოჯახო საქმეებისათვის, ხოლო კვირას შეიძლება შორეული გასეირნებაც მოვაწყოთ და პოლიტიკური წიგნებიც წავიკითხოთ.

კმაყოფილია ოჯახის დიასახლისიც, დედაჩემი: ის რამდენადმე განიტვირთება საოჯახო საქმისაგან. ჩვენ ვადგენთ გეგმას, რათა ზაფხულში მოვაწყოთ გასეირნება სოფელ წყნეთში, „თბილისის ზღვაზე“, ფუნიკულიორზე, ბოტანიკურ ბაღში.

ლ. კუჩერენკო
თბილისის საორთქლმავლო დეპოს ლაბორატორიის გამგე.

სწავლობენ სკკპ XX ყრილობის მასალებს

ერევნის კვანძის რკინიგზელები უდიდეს ინტერესს იჩენენ სკკპ XX ყრილობის მასალებისადმი. მეორთქლმავლეები, მოძრაობის მუშაკები, მელიანდაგეები, კონდუქტორები, მევაგონეები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ექიმები, რკინიგზის სკოლების მასწავლებლები შეუდგნენ ყრილობის მასალების საგულდაგულოდ შესწავლას.

პარტიის XX ყრილობის მასალების შესწავლის საკითხი განიხილა ერევნის განყოფილების პოლიტგანყოფილებამ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და პროპაგანდისტების მონაწილეობით. საკვანძო პარტიულ ბიბლიოთეკაში მოეწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და აგიტატორთა სემინარი ყრილობის მასალათა შესწავლის წესის შესახებ.

პარტიულ ბიბლიოთეკაში შემოღებულია კონსულტანტების მორიგეობა. აქ მოწყობილია გამოფენა განყოფილებებით: „მძიმე ინდუსტრია სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველია“, „მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები“.

ყოველდღე, მუშაობის დაწყებამდე ან სასადილო შესვენების დროს აგიტატორები ბრიგადებსა და ცვლებში ატარებენ საუბრებს, კითხულობენ XX ყრილობის მასალებს.

შ. ტოროსიანი

პარტიული ცხოვრება

ავიყვანოთ პარტიული განათლება ახალი ამოცანების დონემდე

„კომუნისტების, ყველა მშრომელის მარქსისტულ - ლენინური აღზრდა, რევოლუციური თეორიის შემოქმედებითი განვითარება,— ამბობდა ამხანაგი ხრუშჩოვი პარტიის XX ყრილობაზე,— ჩვენი წარმატებითი წინსვლის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს“.

თბილისის განყოფილების პარტიულმა ორგანიზაციებმა მიმდინარე სასწავლო წელს გარკვეული წარმატებები მოიპოვეს.

უპირველეს ყოვლისა: განყოფილებაში მეცადინეობს პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი 10 წრე და რკინიგზის ტრანსპორტის კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი 3 სემინარი. გარდა ამისა, 2130 რკინიგზელიდან, რომლებიც პოლიტიკურ თვითგანათლებას ეწევიან, 162 კომუნისტი დამოუკიდებლად სწავლობს პოლიტიკურ ეკონომიას.

წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა უმრავლესობას აქვს უმაღლესი განათლება, პროპაგანდისტული მუშაობის ხუთი წლის და მეტის გამოცდილება.

თბილისის, ნავთლუღის, ხაშურის, გურჯაანის, ბორჯომის კვანძების მრავალ პარტიულ ორგანიზაციაში ნაყოფიერად მეცადინეობენ წრეები და პოლიტსკოლები.

გულდასმით ემზადება თვითეული მეცადინეობისათვის თბილისის სამგზავრო სადგურის პარტიული ორგანიზაციის პროპაგანდისტი გ. იაროვი. საკონტროლო კითხვების მოხერხებულად დაყენებით იგი აქტიურად იზიდავს მსმენელებს გასაუბრებაში, ყოველი მეცადინეობის დასასრულს განმარტავს მიმდინარე პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

კარგად არის დაყენებული წრეების მეცადინეობა ხაშურისა და ნავთლუღის სალიანდაგო დისტანციების პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც პროპაგანდისტებად მუშაობენ ამხანაგები შანკოტაძე, მორჩილაძე და სხვ. მაგრამ თუ პარტიული სწავლების შინაარსს ღრმად ჩავწვდებით პარტიის XX ყრილობის მითითებათა მიხედვით, მაშინ მრავალ ნაკლოვანებას შევნიშნავთ. ადგილი აქვს ფორმალიზმს პარტიული განათლების ორგანიზაციის საქმეში.

მაგალითად, ბორჯომის კვანძზე რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის მსმენელ რკინიგზელთა უმრავლესობას საშუალო და დაბალი განათლება აქვს. მათ არ გააჩნიათ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები. თბილისის კვანძის პარტკომთან მოწყობილი ასეთივე სემინარის მსმენელთა შორის რამდენიმე კომანდირმა რუსული ენა არ იცის, მეცადინეობა კი რუსულ ენაზე ტარდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პარტიული განათლების ქსელში უპარტიო რკინიგზელთა სუსტად მიზიდვა. წრეებსა და პოლიტსკოლებში უპარტიოები მხოლოდ ერთეულებია ჩაბმული. ეს იმის შედეგია, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელს კარგად არ აქვს შეგნებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების მიერ მარქსიზმ - ლენინიზმის მოძღვრების დაუფლებას. მაგალითად, გურჯაანის რკინიგზის სკოლის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ლაფიაშვილი დარწმუნებული არ არის იმაში, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს უპარტიოთა აღზრდისათვის.

როგორც ჩანს, უპარტიოებისადმი ასეთი მიდგომის შედეგია ის, რომ პოლიტიკურ -მასობრივი მუშაობა ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით ხაზზე, მოწყვეტილია ჩვენს ცოცხალ სინამდვილეს.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ნაკლებად ეხმარება პროპაგანდისტებს, კონტროლს არ უწევს მათს მუშაობას. ეს ეხება ისეთ დიდ პარტორგანიზაციასაც, როგორიცაა თბილისის სატვირთო სადგურის პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ჯღამაია). იქ წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობაზე დასწრება მეტად დაბალია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოლიტიკური თვითგანათლების საქმის დაყენებას თბილისის განყოფილებაში. მრავალ მსხვილ პარტიულ ორგანიზაციაში გამოყოფილია კონსულტანტები იმ კომუნისტთა დასახმარებლად, რომელნიც ამას საჭიროებენ. განყოფილების პარტიული ბიბლიოთეკა თვეში 8-10 ჯგუფურ კონსულტაციას და თეორიულ გასაუბრებას ატარებს. მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში იკითხება ლექციების ციკლი სკკპ ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის და სხვ. საკითხებზე.

მაგრამ არასწორი იქნებოდა სინამდვილის შელამაზება და იმის არ დანახვა, რომ ხშირად კომუნისტები, სარგებლობენ რა უკონტროლობით, ფაქტიურად არ მუშაობენ თავიანთი ცოდნის დონის ამაღლებისათვის. გასული წლის შემოდგომიდან არ შედგომია მეცადინეობას 12 კომუნისტი ახალციხის სატვირთო სადგურიდან, რომელთაც თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი გამოთქვეს. ცუდად მეცადინეობს ზოგიერთი კომუნისტი გზის თბილისის განყოფილების აპარატში.

არ შედგომია სწავლას თელავის სადგურის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. მერებაშვილიც. საეჭვოა, რომ პარტორგანიზაციის მდივანმა, რომელიც ასე ეპყრობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საწესდებო მოთხოვნას, სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს კომუნისტთა თეორიული სწავლების საქმეს.

ჩვენი პარტიის XX ყრილობამ კომუნისტების წინაშე დასახა მთელი რიგი გადაუდებელი ამოცანები იდეოლოგიური მუშაობის დარგში. ყველაზე მთავარია: წარვმართოთ იგი კომუნიზმის მშენებლობისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად, უზრუნველვყოთ პროპაგანდისა და აგიტაციის მკვეთრი მობრუნება ცხოვრებისაკენ, კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული საკითხებისაკენ. ესაა ყველა პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

პარტიული განათლების მთელ სისტემაში, ყველა პარტიულ ორგანიზაციაში დაიწყო სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლა. ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესწავლა დაეხმარება კომუნისტებსა და საბჭოთა ადამიანებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

ი. ველიოტრინი
ფ. კიკნაძე

მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებზე